# სასჯელის დანიშვნისა და დასაბუთების სტანდარტები ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში

**ვიქტორია ბუცხრიკიძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კერძოდ, სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე იაშვილი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2022**

# განაცხადი

*„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

ვიქტორია ბუცხრიკიძე

თბილისი: 2022

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში გადმოცემული არის სასჯელის დანიშვნის სტანდარტები და დასაბუთება თავისი მაგალითითებით. გარდა ამისა, წარმოდგენილია სასჯელის არსი, მნიშვნელობა, სასჯელზე არსებული თეორიები, ასევე, გათვალისწინებულია სასჯელის შეფარდების დროს სხვადასხვა გარემოებები და ცალკეულ შემთხვევაში, სასჯელის დანიშვნასთან მიმართული საკითხები.

სასჯელი წარმოადგენს სისხლის სამართლის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია დანაშაულის თავიდან არიდება. სისხლისსამართლებრივი სანქციები და სასჯელი სისხლის სამართლებრივ პოლიტიკის განსაზღვრაში დიდ როლს ასრულებს. ქვეყანაში თუ როგორი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა მოქმედებს, ამაზე მიუთითებს კანონმდებლობით გათვალისწინებული როგორც სასჯელები, ისე საკანონმდებლო რეგულაციები. საქართველოში დიდი ყურადღება ექცევა დანაშაულის მოძღვრებასთან მიმართებით არსებულ საკითხების კვლევას, ვიდრე პირობითად სისხლის სამართლებრივ სანქციებს.

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სასჯელი წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მთავარ არსს, შესაბამისად, იგი გულისხმობს ბრალეულ ქმედებას. თუ კონკრეტულ პირს რაიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, აუცილებელია დაენიშნოს შესაბამისი სასჯელი, რაც შეეხება სასჯელს, იგი გამოხატულია სხვადასხვა მოვლენებში, მაგალითად, გადაადგილების თავისუფლებაში, რომელიც დაკავშირებული არის თავისუფლების აღკვეთასთან.

## Abstract

This paper presents the essence, meaning, theories of punishment, as well as the ratio of punishment of nations in different environments and in individual cases, issues related to punishment.

Punishment is one of the main tools by which crime can be avoided. Criminal sanctions and punishment play a major role in defining criminal policy. The type of criminal policy in force in the country is indicated by both the penalties provided by law and the legislative regulations. In Georgia, more attention is paid to the study of criminal doctrine issues than to ordinary criminal sanctions.

According to the Criminal Code, punishment is the main essence of criminal liability, therefore, it implies a guilty act. If a particular person has committed a crime, it is necessary to impose an appropriate punishment, as for the punishment, it is manifested in various events, For example, in freedom of movement, which is related to deprivation of liberty.